ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 242

"30" ივნისი 2015 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში არსებული ზოგიერთი გეოგრაფიული ობიექტის სახელების აღმნიშვნელი აბრების დიზაინის შესარჩევი კონკურსის ჩატარებისათვის განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მეორე პუნქტის ,,ტ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისში არსებული ზოგიერთი გეოგრაფიული ობიექტის სახელების აღმნიშვნელი აბრების დიზაინის შესარჩევი კონკურსის ჩატარების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ივნისის №16-65 დადგენილების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) საკონკურსო კომისიის წევრები ინდივიდუალურად ეცნობიან, არჩევენ, აფასებენ და გამოავლენენ საუკეთესო ნამუშევარს. საკონკურსო ნამუშევრების შეფასებისას კომისია ხელმძღვანელობს შემდეგი კრიტერიუმებით: პროფესიონალიზმი, ნამუშევრის ესთეტიკური მხარე, დარგის ტენდენციების, ფორმებისა და ხერხების ფლობა, პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობა, ახალ და ინოვაციურ ტექნოლოგიებთან თავსებადობის შესაძლებლობა.

ბ) კომისიის თითოეული წევრი ვალდებულია, კეთილსინდისიერად მოეკიდოს დაკისრებულ მოვალეობას და ყოველგვარი მიკერძოების გარეშე, ობიექტურად, მიანიჭოს უპირატესობა საკონკურსოდ წარმოდგენილ ნამუშევარს. კომისიის წევრი, ასევე, ვალდებულია, დაიცვას ინფორმაციის კონფიდენციალურობა და არ გაახმაუროს კონკურსის შედეგები ოფიციალურად გამოცხადებამდე.

გ) კომისიის გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს ღია კენჭისყრით, წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით, გაფორმდეს ოქმით, რომელშიც მითითებული

იქნება კომისიის შეკრების ადგილი, თარიღი, დამსწრეთა რაოდენობა და მიღებული გადაწყვეტილებების შინაარსი. ოქმს ხელს აწერს კომისიის ყველა დამსწრე წევრი.

დ) კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა, შეივსოს ელექტრონული განაცხადი და საკონკურსო ნამუშევარი წარმოდგენილი იქნეს ელექტრონული სახით. სააპლიკაციო ფორმა განთავსებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე: www.tbsakrebulo.gov.ge

მოთხოვნის შესაბამისად საკონკურსო ნამუშევრები წარმოდგენილი უნდა იყოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მისამართი: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2).

ე) კონკურსის ჩატარების ეტაპები და ვადებია:

ე.ა) I ეტაპი - კონკურსის გამოცხადება, განაცხადების შევსებისა და საკონკურსო ნამუშევრების წარდგენა 2015 წლის 6 ივლისიდან 2015 წლის 25 ივლისის ჩათვლით.

ე.ბ) II ეტაპი - ნამუშევრების გაცნობა და შეფასება საკონკურსო კომისიის მიერ ხდება ნამუშევრების წარდგენის ვადის ამოწურვიდან 10 დღის ვადაში;

ე.გ) III ეტაპი - გამარჯვებულების გამოვლენა და დაჯილდოვება გაიმართება არა უგვიანეს 2015 წლის სექტემბრის თვისა.

2. განკარგულება ძალაშია 2015 წლის 3 ივლისიდან.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12კმ., N6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**